

# ქართული ქრონიკა

კვილი,  
1990 წელი  
№ 4 (61)

საბავშვო-ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი

გამოსვლა 1988 წლის 10 მაისიდან

**გთხოვთ  
საგვთა  
„მკავალკატბიულ“  
ანგევენებს!**

## საქართველოს პოლიტიკური ემიგრაცია


### მეგობრივი

### თენგიზ

### და


### ედუარდ

### გუდავაძეები



*To Tengiz Gudava  
with best wishes,  
Ronald Reagan*

**სუბათზე ასახულია თენგიზ გუდავას შეხვედრა თეთრ სალში  
პენსილვანიაში ბიშოპთან 1988 წლის 17 მაისს. ფოტოსუბათზე აკის  
პენსილვანიაში მიერ გაკეთებული წარწერა-„თენგიზ გუდავას საუბრით  
სუბათზე, ტენსელ ბიშოპი“.**



ამ გარე დროს გადინა ირგვლივ ინტერესი უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისადმი, რაც გუნებრივიცაა. უფრო მეტი კრესანო აქა-იქ განიკვირებს დასავლეთში მოღვაწე ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის გვარი, მამაკაცი, რომელიც წინა, არცაა მათგანი არ არის ჩვენი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი; უფრო მეტიც ეს სიმართლე აღვიდა ასახსნელია. საბოლოო, უნდა იმედივს, რომ უცხოეთში გადინა ცოტა ძალადი ცხოვრება და მათ შორის თითოერთად პოლიტიკურად სტატუსით. ჩვენი ემიგრაცია გადინა კანადის და აშშ-ში; მიუხედავად იმისა, რომ საქართველო გულწრფელად უყვართ, ხშირად ცრემლიც აღვებამ საბჭოთავს გახსენებავთ, პრაქტიკულად არაფერს აკეთებენ ჩვენი ერისათვის, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. გინდობს განმარტების წარმომადგენელ მებრძოლებს, რომლებიც მარტო უზიარებენ ძალადი პოლიტიკური ემიგრაციის მიმართ უპას და დიდი წარმატებით არამეცხვინ თანს ღვთისა და ერისათვის დაკისრებულ მოვალეობას.

**თენგიზ გუდავა** დაიბადა 1953 წელს, კრემლში ბიშოპის კონსტანტინე. 1982 წელს უარი განაცხადა საბჭოთა მოქალაქეობაზე. 1985 წელს მისი ინიციატივით მოხდა საქართველოს კულსინების ჯგუფის აღდგენა. თენგიზი ჯერ კიდევ 70-იანი წლების ბოლოს ჩაება სამხრეთ-დასავლეთ მოძრაობაში. მისმა ფილოსოფიურმა ესაიებამ და ავტობიოგრაფიულმა წიგნებმა - "ერთი საბჭოთა ოჯახის ისტორია" მიმდევრულად დიდი მოწოდება დაიბეჭდა. საქართველოში მცხოვრებ სხვა დინამიკურად და საბჭოთა მოქალაქეობაზე უარყოფითად ეწეოდნენ მან ჩამოაყალიბა ანსამბლი "მანტონი". თენგიზ გუდავა პოლიტიკური საქმიანობისათვის ორჯერ იქნა დაპატიმრებული და განსამართლებული; პირველად - 1978 წელს და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, მეორედ - 1985 წელს და მიესაჯა 7 წლით პატიმრობა და 3 წლით გალანახლება. 1987 წელს სხვა პოლიტიკურად ეწეოდნენ, ყოველგვარი "მონაწილეობა" და წინააღმდეგობის გამოვლინება, გაანთავისუფლეს პატიმრობიდან. იმავე წლის ზაფხულს საქართველოში ხელისუფლებამ მებრძოლები აიკვლა, რომ დაეჭვებინათ სსრკ.

თენგიზ გუდავა, მერაბ კოსტავასთან, გიორგი ჭანტუასთან და სხვებთან ერთად იყო ინიციატორი პოლიტიკური საქმიანობის დასავლეთში კომიტეტის დასარსების გამოწყობისათვის. სწორედ ამ კომიტეტის გაზარდა ვებგეგმვით

აღმოცხადდა საბჭოთა იმპერიის ხალხების ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობების საკოორდინაციო კომიტეტი, თენგიზ გუდავა არის საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, ელკ-ს სახელმძღვანელო გიორგის თანამშრომელი.

ამჟამად იმყოფება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, კვავს მუშა და ორი ვაჟი.

**ედუარდ გუდავა** დაიბადა 1955 წელს, კრემლში ბიშოპის. ის თავიდანვე აქტიურად ჩაება ახალგაზრდულ-რადიკალურ მოძრაობაში. 1982 წელს უარი განაცხადა საბჭოთა მოქალაქეობაზე. 1978 წელს მიესაჯა 3 წლით, 1985 წელს კი 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. 1987 წელს მანთან ერთად დასტოვა სსრკ.

ვინც ელუარდის სასამართლო პროცესს ესწრებოდა 1985 წელს, არ დაავიწყდება მისი შემართება და ვებგეგმვით, ის სიმბეჭედი, რომელიც ელუარდის წინააღმდეგ "სახანგამართლო" წინააღმდეგ.

ედუარდ გუდავა არის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ავგ-ში არსებული "დემოკრატიის ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი, ცხოვრობს ნიუ-იორკში, არის უცხოეთში.

**ელუარდ გუდავას გაეროსა და  
კვირის ტელევიზიით (CNN)  
9 კვირის ტრაველით. ვებგეგმვა.**







# ეროვნული ფორუმის ფაქტობრივი ფაქტობრივი ფაქტობრივი

ეროვნული ფორუმი არის წამყვანი პოლიტიკურ ორგანიზაცია და საზოგადოებრივი გაერთიანება წარმომადგენლობითი ორგანო, სადაც ასევე შედიან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციის მიერ არჩეული წევრები.

ეროვნული ფორუმი წარმოადგენს ეროვნულ-განმათავისუფლებელ და პოლიტიკურ მოძრაობას. მასში გაერთიანებულია 42 პირი: 21 კაცი შეიძლება პოლიტიკური ორგანიზაციიდან (სამ-სამი კაცი), ერთი კაცი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიიდან, 20 კაცი - ინდივიდუალურად არჩეული ეროვნული მოძრაობის საგანგებო კონფერენციის მიერ.

I. ეროვნული ფორუმის წევრი არ შეიძლება იყოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი, მონაწილეობას იღებდეს საბჭოთა არჩევნებში, იყოს დეპუტატი ან დეპუტატობის კანდიდატი, რაიმე სახით თანამშრომლობდეს საოკუპაციო რეჟიმთან, წინააღმდეგობას არ უწევდეს დემოკრატიულ ექსპანსიას.

II. წამყვანი პოლიტიკური ორგანიზაციები ფორუმში წარმოდგენილია სამ-სამი პირით, რომელთაგან ერთი მაინც უნდა ესწრებოდეს ფორუმის შეკრებას.

III. ფორუმის სხდომას უნდა ესწრებოდეს ინდივიდუალურად არჩეულთა ორი მესამედი, წინააღმდეგ შემთხვევაში ფორუმი გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს.

IV. ფორუმის გადაწყვეტილების გარეშე ფორუმის სახელით განცხადების გაკეთების უფლება არაა აქვს.

V. ფორუმზე სადავო საკითხი წყდება კენჭისყრით, ხმათა ორი მესამედით.

VI. ფორუმი ადგენს რამდენიმე კომისიას, რომელნიც კვირაში ერთხელ ანგარიშს აბარებენ ფორუმს.

VII. ფორუმთან მოქმედებს საკოორდინაციო საბჭო, სადაც ფორუმის წევრებთან ერთად შედიან ფორუმისგან განსხვავებულ პლატფორმაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლები. საკოორდინაციო საბჭო აერთიანებს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ არაქართულ დემოკრატიულ ძალებსაც, რომელნიც მიზნად ისახავენ ქართველ ერთან ერთად საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

VIII. ეროვნული ფორუმის მთავარი ამოცანაა ეროვნული კონგრესის მოწვევა.

IX. ეროვნული კონგრესის არჩევის შემდეგ ფორუმი წყდება არსებობას.

## ე.ფ.ს. გათვალისწინებული კომიტეტის მიმართ არაკმატყველები მოსახლეობისადმი

პატივცემულ მოქალაქეო, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობასთან დაკავშირებით, საქართველოს არაქართული მოსახლეობის ფართო ფენებში, ბნელი ძალები ყველა საშუალებებით, ცდილობენ ხელი შეუშალონ ჩვენს ეროვნულ მოძრაობას, აგვაცდებენ რა ბოროტ ხმებს არაქართული მოსახლეობის მიმართ, თითქოსდა, დაგვგმობენ გენოციდის შესახებ.

ჩვენ კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ამდაგვარი ხმების გავრცელების არაგონივარი საფუძველი არ არსებობს. ამის დასტურია თუნდაც 9 აპრილის შემდგომი პერიოდი, როდესაც განსხვავებით ე.წ. სსრკ სხვა რეგიონებისაგან არ მოხსლარა არაქართული მოსახლეობის დარბევის არცერთი ფაქტი.

იმ დროს როდესაც რუსეთის პროგრესული ნაწილი გამოდის შემდეგი სახის ლოზუნგით: "მრევით ხალხებს თავისუფლება და თქვენც იქნებით თავისუფლები კონსერვატიულად განწყობილი ძალები ე.წ. სოციალისტების აპოლოგებები, რომლებიც აღჭურვილნი არიან შოვინისტური და იმპერიული "სიამაყის" გრძნობით, ყოველად ცილისწამებულად აცხადებენ თითქოსდა საქართველოში მიმდინარეობს ანტირუსული ბრძოლა, რაც საბოლოო ჯამში იწვევს უნდობლობასა და აღშფოთებას სადაც მოაზროვნე ადამიანებში. ჩვენ არ ვიბრძობთ რუსი ხალხის წინააღმდეგ! ჩვენ არ ვიბრძობთ რუსი პიროვნების წინააღმდეგ! ერთადერთს, რასაც ჩვენ ვითხოვთ არაქართული მოსახლეობისაგან, ესაა წინ ნუ აღუდგებიან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას (გამომდინარე მათივე ინტერესებიდან, რათა მომავალში ისინი არ აღმოჩნდნენ "პოლიტიკის გარეთ"), ამასთანავე პატივი სცენ ქართულ კულტურასა და ტრადიციებს.

ჩვენ ვერ შეგუვრდებით ანტიქართულ ბრძოლას და ის პიროვნებები ვინც ამას სჩადიან იძულებულნი იქნებიან დატოვონ საქართველო, განურჩევლად მათი ეროვნებისა.

რუსეთის მიწა ბევრად აღემატება საქართველოს მიწა-წყალს, ღვთის თვით რუსეთს ღირსება თავისი შვილები.

ჩვენ ქართველები მომხრე ვართ ერთა შორის მეგობრობისა და კეთილშობილობისა; ეს კი არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ როდესაც ვიქნებით კომუნისტური მიმდევრები, მიუხედავად საქართველოს რუსიფიკაციისა, ჩვენ რუს ხალხს ვუსურვებთ მშვიდობასა და ბედნიერებას, განთავისუფლებას იმპერიული აზროვნებისაგან, უარყოს ყოველგვარი პრეტენზიები სხვის მიწა-წყალზე; ჩვენ ყოველთვის მხარს დავუჭერთ ლოზუნგს "გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს".

ჩვენ გვჯერა, რომ დადგება დრო როდესაც ყველა ერთ იცხოვრებს თავის მიწაზე, იქ სადაც განისვენებენ მათი წინაპრები, სადაც მიწა მოწყურდება წინაპართა სისხლით.

დაღვა დრო ყველამ თავის მიწას მიხედოს, სირცხვილია ნებისა თუ უნებლიედ ოკუპანტის როში ყოფნა, რამეთუ სწორედ ასეთებდა გვევლინებიან ისინი ვინც ბოროტ ხმებს ავრცელებს ქართული ეროვნული მოძრაობის შესახებ, სწორედ ისინი, ვინც დიდი ხანია ოცნებობენ "საქართველოზე, მხოლოდ უქართველებზე" უსინდისოდ აცხადებენ საქართველოს თავიანთ საკუთრებად, ცდილობენ თავიანთი დიქტატი შეინარჩუნონ ქართველ ერზე.

ჩვენთან, ბათუმში, არაქართველთა უკმაყოფილება გახშირდა მას შემდეგ, როდესაც ქართველი ერის მოთხოვნით აღებული იქნა ლენინის ძეგლი. ლენინი, რომელიც სულსჩამდგმელია ყველა იმ ბოროტებისა, რაც თავს დაატყდა რუსეთის კომუნისტურ იმპერიაში შემავალ

არარუს ხალხებს. ლენინი, რომელიც ჩამოაგდო რუსეთის კანონიერი მთავრობა, ლენინი, რომელიც ვაზა გადაუღობა ყოველივე პროგრესულს, ლენინი, რომლის ბრძანებით მარტი 1919 წელს 400 ლენინი აღამიანი იქნა დახვრებილი (ეს შემადარწმუნებელი რეკორდი გინესის წიგნშია შეტანილი); ლენინი, რომელიც შვა თავისი მოღვმის სატანა სტალინი (სხვათა შორის, როდესაც სტალინის კერძებს ამხობდნენ, მაშინ ყველა ჯარის დერჟომორდა პირში წყაღრავებული ადევნებდა თვალს მოვლენებს);

ღვთს კი მათნაირნი ქართველ პატრიოტებს ვანდალიზმში სდებენ ბრალს, საჭიროა კი მათ შევახსენოთ, თუ რამდენი ეკლესია-მონასტერი და სხვა კულტურის ძეგლი იქნა მიწასთან გასწორებული 1917-1940 და შემდგომ წლებში! და საერთოდ რა ჩამოგდის მათ ნამოქმედარს.

ჩვენ მოვუწოდებთ რუსულენოვან მოსახლეობას არ დაუშვან ანტიქართული გამობტომები, რამეთუ ასეთი ქმედება განწირულია და მას მხოლოდ არასასურველი შედეგები შეიძლება მოყვას.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს! გაუმარჯოს ხალხთა თავისუფლებას!

### თბილისი

#### ე.ფ.ს.-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებს

საბჭოთა იმპერიაში არსებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა ხელშემწყობი საკოორდინაციო ცენტრი - "დემოკრატია და დამოუკიდებლობა" მიესალმება აზერბაიჯანისა და სომხეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ მეზობელ ხალხებს შორის წარმოქმნილი პრობლემები გადაწყდეს მოლაპარაკების გზით იმპერიის მტრული შუამდგომლობის გარეშე.

თქვენს წინაშე ძალზე რთული ამოცანაა; უნდა გადალახოთ არა მხოლოდ იმპერიის პოლიტიკის შედეგები ანუ ხიბულვილი, რომელმაც ორივე ხალხის ყველა ფენა მოიცვა, არამედ შეძლოთ არ წამოეგოთ არანაირ პროვოკაციას, რასაც სპეციალურად ექნება ადგილი თქვენი შეხვედრის დღეებში. მეორე მხრივ, თქვენს წინაშე ისტორიული ამოცანაა, ან მიაღწევთ ურთიერთშეთანხმებას, რაც თქვენს მთავარი მიზნის, ყველა ერის მიზნის, თავისუფლების, დამოუკიდებლ-

ობის მიღწევის საწინდარი იქნება, ან არადა თქვენს ხალხებს კიდევ დიდ ხნის განმავლობაში მოუხდება იმპერიის დახლართულ ქსელში ტანჯვა.

გვწამს, ჩველაფერი კარგად დასრულდება. გისურვებთ წარმატებებს რთულ, მაგრამ კეთილშობილურ საქმეში. უღრმესი მადლობა ჩვენს ქართველ მეგობრებს - საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას - შუამდგომლობისათვის.

დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის სახელით ორგანიზაციის თავმჯდომარე პარპირ აირიპიანი

რედაქციისათვის: ბატონ პარპირ აირიპიანის ტელეგრამა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარმა კომიტეტმა დაგვიანებით მიიღო, რის გამოც მიმართვის ტექსტი შეხვედრაზე არ წაკითხულა.

### განცხადება

ა მ მ ნ ა წ ი რ ი

დომიტროვის სახ. საავიაციო საწარმოო გაერთიანების სახალხო მოხმარების საგნების ქარხნის შრომითი კოლექტივის საერთო კრების № 4 ოქმიდან:

ვინაიდან 1921 წ. 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთში მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს ფაქტიური ანექსია

ვინაიდან ეს ფაქტი საქართველოს დევანდელმა ე.წ. ოფიციალურმა მთავრობამ აღიარა და მიიღო

ვინაიდან მოყოლებული 1921 წლიდან დღემდე ხისტემა და მთავრობა, რომელიც ძალით მოახვიეს თავზე ქართველ ხალხს, იურიდიულად უკანონოა

ვინაიდან შეუძლებელია ჩატარდეს პარლამენტური არჩევნები ფაქტიურად არასამართლებრივ სახელმწიფოსა და უკანონო სისტემაში, დომიტროვის სახ. საავიაციო საწარმოო გაერთიანების სახალხო მოხმარების საგნების ქარხნის კოლექტივი ხმათა დიდი უმრავლესობით, საქართველოს ე.წ. უზენაესი საბჭოს არჩევნებისადმი სრული ბ მ ი კ მ ი ს მიზნით

1. ბოიკოს ვუცხადებთ დედეგატების წარგზავნას გაერთიანების წინასაარჩევნო კონფერენციაზე და ამ მიზნით კონფერენციაზე არ ვაგზავნი ჩვენს დედეგატებს. ვაგზავნი მხოლოდ ერთ წარმომადგენელს ზემოთ აღნიშნული დადგენილების წასაკითხად

2. უარს ვამბობთ ე.წ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩვენი კოლექტივის წარმომადგენლის წაყენებაზე

3. სმს ქარხნის შრომითი კოლექტივი მოუწოდებს გაერთიანების სხვა კოლექტივებს, მხარი დაუჭირონ ამ დადგენილებას მსგავსი გადაწყვეტილებებით.

25.01.90წ.



# დასავლეთის პოლიტიკური ამბების ქრონიკა

## უკრაინის დამოუკიდებლობის აღდგენის სტრატეგია

1967 წლიდან ისრაელის სახელმწიფომ თავის კონტროლს დაუკვამდებარა აღმოსავლეთ იერუსალიმი. მას შემდეგ არაბული სამყარო და მასთან ერთად კომუნისტური რეჟიმი ვერ შერიგებია ამ ფაქტს, მით უმეტეს, როდესაც ისრაელის აღმინისტრაციამ იერუსალიმი გამოაცხადა ერთიან და განუყოფელ ქალაქად და სახელმწიფოს დედაქალაქი ტელ-ავივიდან იერუსალიმში გადაიტანა.

ლიდი ხნის მანძილზე ა.შ.შ. პოლიტიკურ წრეებში მიმდინარეობდა დავა იმის შესახებ, თუ რამდენად სამართლიანია ისრაელის სახელმწიფოსა და მთელი ებრაელი ერის ეს გადაწყვეტილება. კონგრესზე არა ერთხელ იქნა იერუსალიმის სტატუსთან დაკავშირებით საკითხი გატანილი, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება არ ხერხდებოდა.

1990 წლის მარტის ბოლოს სენატისა და წარმომადგენელთა პალატის ერთობლივი გადაწყვეტილებით ა.შ.შ. კონგრესმა მიიღო დადგენილება იერუსალიმის სტატუსთან დაკავშირებით.

გთავაზობთ ა.შ.შ. სენატის რეზოლუციისა და კონგრესის დადგენილების ტექსტს:

1. ვინაიდან ისრაელის სახელმწიფომ იერუსალიმი გამოაცხადა თავის დედაქალაქად;
2. ვინაიდან 1948-1967 წლებში იერუსალიმი იყო გაყოფილი ქალაქი და ისრაელის სხვადასხვა სარწმუნოების მოქალაქეებს არ ჰქონდათ იორდანის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე წმინდა ადგილების მონახულების უფლება;

3. ვინაიდან მოყოლებული 1967 წლიდან იერუსალიმი წარმოადგენს ისრაელის აღმინისტრაციისადმი დაკვამდებარებულ ერთიან ქალაქს და სხვადასხვა სარწმუნოების აღმსარებელ ყველა აღამიანს გარანტირებული აქვს ქალაქში მათთვის წმინდა ადგილების მონახულების საშუალება;
4. ვინაიდან აშშ მთავრობის ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებები მთელს იერუსალიმში ებრაელთა ცხოვრების უფლებებთან დაკავშირებით, ისრაელში იწვევს შემოთქმას იერუსალიმის კვლავ გაყოფის საშიშროებაზე და აქედან გამომდინარე შესაძლებელია ისრაელის მოქალაქეებს კვლავ აეკრძალოთ წმინდა ადგილების მონახულება;
5. ვინაიდან აშშ პრეზიდენტმა და სახელმწიფო მდივანმა დაადასტურეს თავიანთი მისწრაფება ახლო აღმოსავლეთში მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის დამყარებისაკენ და კვლავაც დაუღალავად იღწიან ამისათვის;
6. ვინაიდან ზემოთ აღნიშნული საშიშროება აფერხებს და ართულებს მტკიცე სამშვიდობო გზების მოძებნას ამ რეგიონში, აშშ სენატი წარმომადგენელთა პალატის მხარდაჭერით ადგენს, რომ აშშ კონგრესი ცნობს:
  - ა) იერუსალიმი არის და უნდა იყოს ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქი
  - ბ) იერუსალიმი უნდა დარჩეს ერთიან და განუყოფელ ქალაქად, სადაც პატივი ტყვემა ყველა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს
  - გ) მოუწოდებს ყველა (დანიტერესებულ) მხარეს გამონახოს გზები მშვიდობის დასამყარებლად, გააგრძელოს მიმართული ძალისხმევა მოლაპარაკებების ორგანიზებისათვის, ისრაელის და პალესტინის წარმომადგენლებს შორის.

## აშშ პოლიტიკა ლიბერალური დემოკრატია

ამ დღეებში აშშ დიდი ყურადღება ეთმობა ლიტვის ამბებს, რადგან ლიტვის მოვლენებმა შეიძლება გარკვეული ცვლილებები გამოიწვიოს აშშ - სსრკ შემდგომი ურთიერთობებში.

აშშ სახელმწიფო მდივნის ჯ. ბეიკერისა და სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრის ე. შევარდნაძის ბოლო შეხვედრის დროს წინა პლანზე წამოიწია ლიტვის საკითხი, ყველა სხვა საკითხს კი დროებით მეორეხარისხოვანი, როდი მიენიჭა. ბეიკერის განცხადებით დღეს ლიტვაში აღდგომა აქვს კრემლის მხრიდან ძალისმიერი ჩარევის ფაქტებს, ეს კი ყოველად მიუღებელი ამერიკის მხარისათვის და მხოლოდ ხელს შეუშლის ურთიერთობის ნორმალურ განვითარებას ამ ორ ქვეყანას შორის.

აპრილის დამდეგს აშშ წარმომადგენელთა პალატამ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მიიღო მნიშვნელოვანი დოკუმენტი ლიტვისადმი დაკავშირებით. ეს დოკუმენტი აშშ პრეზიდენტს მოუწოდებს რაც შეიძლება მოკლე ვადებში გადაღას ის გადაწყვეტილების ნაბიჯი რომელიც ლიტვას საშუალებას მისცემს დამოუკიდებლობაში.

ტიური ურთიერთობა დაამყაროს აშშ-თან ამავდროულად ხასიათის რეზოლუცია მანამდე მიიღოს აშშ სენატმა, რომელიც პრეზიდენტს მოუწოდებს რაც შეიძლება მოკლე ვადებში განხილულ იქნას საკითხი ლიტვის დამოუკიდებლობის ოფიციალურად ცნობის შესახებ.

ამასთან ერთად ორივე პალატის მიერ გამოქვეყნებულ რეზოლუციებში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას ძალის გამოყენება ლიტვაში. კრემლის მიერ ლიტველი ხალხის წინააღმდეგ გატარებული ყოველგვარი რეპრესიის განხილვა როგორც სამართლის ნორმების დარღვევა, ამას კი აუცილებლად მოყვება სერიოზული უთანხმოებანი აშშ - სსრკ პოლიტიკურ ურთიერთობაში.

ჯერჯერობით აშშ პრეზიდენტს აქვს საშუალება ლიტვის საკითხში ის პოზიცია დაიკავოს რომელიც მას პირადად მიაჩნია მისაღებად, როგორც ქვეყნისათვის ასევე საერთაშორისო ურთიერთობისათვის, რადგან არც სენატის და არც წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღ-

ბულ რეზოლუციებს კანონის ძალა არ აქვთ. ამავდროულად აშშ პოლიტიკური მიმხილველები აღნიშნავენ, რომ ხელი-სუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებული რეზოლუციები აღიქმება არა-ორაზროვნად და პირდაპირ მიუთითებენ ამერიკელ კანონმდებელთა მხარდაჭერაზე. ლიტვის დამოუკიდებლობის მიმართ ამერიკელ კანონმდებელთა გარდა ლიტვის დამოუკიდებლობას მხარს უჭერენ აშშ არსებული სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. 4 აპრილს უდიდესი პროფკავშირული გაერთიანების ამერიკის შრომის ფედერაციის, მწარმოებელთა კონგრესის პროფკავშირებმა მოწოდებით მიმართა ამერიკის აღმინისტრაციას, რათა მან დროულად სცნოს ლიტვის დამოუკიდებლობა და დაამყაროს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა.

ლიტვის დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით ძლიერ გააქტიურდნენ ლიტვური წარმომადგენლის ამერიკელები, იმ დღეს როცა მიმდინარეობდა ბეიკერ - შევარდნაძის მოლაპარაკება, მათ მრავალრიცხოვანი მანიფესტაცია გამართეს თეთრი სახლის წინ, ის-

ინი პრეზიდენტს მოუწოდებდნენ ცნოს ლიტვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. იმავე დღეს კაპიტოლიუმის წინ გაიმართა მრავალათასიანი დემონსტრაცია აშშ მიერ ლიტვის დამოუკიდებლობის ცნობის მოთხოვნით. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკელმა სენატორმა ნიუ-იორკის შტატიდან ალფონს ლიმატომ. როგორც ცნობილი გახდა იგი აპირებს სულ მალე ოფიციალურ ვიზიტად ეწვიოს ლიტვას. ლიტვის ახალმა ხელისუფლებამ მას უკვე გაუგზავნა ვიზა. ლიმატო პოლონეთის გავლით აპირებს ჩავიდეს ლიტვაში, ერთადერთი, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის ვიზიტს არის კრემლი.

4 აპრილს ამერიკელ კონგრესმენტთა ერთმა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო თეთრი სახლში გამართულ ოფიციალურ ცერემონიაში, სადაც ლიტვის რწმუნებულს აშშ სტას ვოზარაიტისს გადაეცა ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის სიმბოლური ასლი. კონგრესმენტებმა ლიტვის რწმუნებულს ალუტქეს ყოველგვარი მხარდაჭერა მათი კომპეტენციის ფარგლებში.

## სხვადასხვა

### იარუსალიმი

ა.წ. პირველ სამ თვეში საბჭოთა კავშირიდან ისრაელში ჩავიდა დაახლოებით 20 ათასი ებრაელი ემიგრანტი. ისრაელის ხელისუფალთა ვარაუდით ზაფხულის თვეებში მოსალაგდება ემიგრანტთა მორიგი დიდი ნაკადის, დაახლოებით ასი ათასი კაცის ჩასვლა ისრაელში სამუდამოდ საცხოვრებლად. სახელმწიფომ მათ დასახმარებლად უკვე გამოყო საკმაოდ სოლიდური თანხა, მაგრამ როგორც ვარაუდობენ მთლიანმა ხარჯებმა შეიძლება მილიარდ დოლარს გადააჭარბოს, ამ რაოდენობის თანხა კი ისრაელს არ გააჩნია, ამიტომ ისრაელმა თხოვნით მიმართა აშშ მატერიალური დახმარებისათვის. ამავდროულად ებრაულმა თემებმა რომლებიც ისრაელის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ დაიწყეს თანხების შეგროვება.

### კ.პ.კ.კ.

აკ დამთავრდა მოლაპარაკებების პირველი რაუნდი არჩევნებში გაჩაგრებულ პოლიტიკურ პარტიებს შორის. მოლაპარაკებების მიზანია ახალი სამთავრობო კოალიციის ფორმირება. მ აპრილს გაიმართება მეორე რაუნდი, 12 აპრილს კი გაიმართება კენჭისყრა სახალხო პალატაში. ერთი რამ კი აქვე ცხადია, პირველად ქვეყნის ისტორიაში არჩეული იქნება არაკომუნისტური მთავრობა.

### პარკეპე

6 აპრილს ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჩაფრინდა ვარშავაში, სადაც იმყოფება ამერიკელი სენატორი ალფონს ლიმატო. იგი პოლონეთის გავლით აპირებდა ლიტვაში ჩასვლას, მაგრამ კრემლის მესვეურებმა ნება არ დართეს ამერიკელ სენატორს ჩასულიყო ლიტვაში.

### პარკეპე

პოლონეთის სეიმმა ხმათა უმრავლესობით გააუქმა ეროვნული დღესასწაულის აღმნიშვნელი თარიღი 22 ივლისი, რომელიც შემოღებული იყო კომუნისტების მიერ 1944 წელს ძალაუფლების ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით. მის ნაცვლად ეროვნული დღესასწაულის დღედ გამოცხადდა 3 მაისი. 1791 წლის 3 მაისს მიღებული იქნა პოლონეთის პირველი კონსტიტუცია.

### სოფია

ბულგარეთმა იუგოსლავიასთან სასაზღვრო ზოლის მნიშვნელოვანი მონაკვეთზე დაიწყო ბარიერების დემონტაჟი. რაც შეეხება იუგოსლავიას, მას ამგვარი პრობლემები დიდი ხანია გადაწყვეტილი აქვს. ამიერიდან ბულგარეთსა და იუგოსლავიას შორის მიმოსვლა თავისუფალი იქნება.

## გვიჩი მონაზალა ზვიად ძალაბაძე

მთავარი რედაქტორი ირინა სარჩვილი

სარედაქციო კოლეგია: შიძრია იაკობიშვილი, ელგუჯა მარლია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად ძალაბაძე, გიორგი ჯანაშვილი, შუკო ჯიძია (პრესცენტრის პასუხისმგებელი მდივანი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №23.

ტელეფონები: 98-31-88, 98-31-87, 98-31-86.